ვ სამშრომლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 6 (227) გამოცემის მე-13 წელი

1969 წლის 24 ოქტომბერი

საბჭოთა მეცნიერების დიდი წარმატება



კოსმოსის თანავარსკვლავედი (მარცხნიდან): ვალერი კუბასოვი, ბიორგი შონინი, ვლადიმერ შატალოვი, ალექსი ელისეევი. დგანან: ვიქტორ გორბატკო, ანატოლი ფილიპჩენკო, ვლადიმერ ვოლკოვი.

უცხოეთის პრესის გამოხმაურება

გუდაპეშტი. გაზეთი „ნეპსავა“ აღნიშნავს, რომ კოსმონავტიკის ისტორიაში პირველად მოხდა სამი ხომალდის ერთდროული ფრენა, განხორციელდა უდიდესი ექსპერიმენტი კოსმოსის ორბიტული სადგურების შესაქმნელად.

ვარშავა. გაზეთი „ჟიჩე ვარშავი“ წერს, რომ „საბჭოთა ხომალდის „სოიუზ-6“-ის ეკიპაჟმა კატასტროფობას დაანახა ახალი კოსმოსური ჰორიზონტები. ადამიანები გააცნო ახალ პროფესიას, რაც მოითხოვს ფართო განათლებას, მაღალ აზროვნებას, ოქროს ხელებსა და დიდ გამოცდილებას.

დელი. ახალი საბჭოთა კოსმოსური ექსპერიმენტი დაკავშირებულია კატასტროფობის ეკონომიურ მიზნებთან და უპასუხებს ჩვენი პლანეტის მილიონობით მცხოვრებთა ინტერესებს, — წერს ინდოეთის გაზეთი „ეკონომიკა ტაიმსი“.

ნიუ-იორკი. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები 1972 წელს თუ ვერ შეძლებს მზად იმისათვის, რომ შეძლოს კოსმოსში შედუღების ერთეული ისეთი მეთოდის გამოცდა, რომელიც განახორციელეს „სოიუზ-6“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟის წევრებმა.

რომი. შესანიშნავ მეცნიერულ და ტექნიკურ მიღწევას უწოდებს გაზეთი „უნიტა“ კოსმოსური შედუღების პირველ მეცნიერულ ექსპერიმენტს. ამ ექსპერიმენტით, — წერს გაზეთი, — „იწყება ახალი ტექნიკური ეპოქა“.

ბონი. გაზეთი „ველტ ამ ზონტაგი“ კომენტარს უკეთებს ხომალდ „სოიუზ-6“-ის ეკიპაჟის მიერ კოსმოსში განხორციელებულ შედუღების მეთოდს და ასკვნის: „კოსმოსში ლითონის შედუღების შესაძლებლობას იმდენად დიდი პერსპექტივები აქვს მომავლისათვის, რომ დღეს წარმოსადგენადაც კი ძნელია“.

პარიზი. გაზეთმა „პარი-ჟურმა“ განაცხადა: „საბჭოთა კოსმოსურმა სამეულმა დაამყარა ახალი რეკორდი მრავალრიცხოვანი ხომალდებისა და კოსმონავტების ერთდროულ ფრენაში ორბიტაზე“.

კიდევ ერთი გიგანტური ნაბიჯი კოსმოსის ათვისებაში

1969 წლის 11, 12 და 13 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში პირველად დედამიწისირგვლივ ორბიტაზე ერთობლივი ფრენისათვის გაიყვანეს სამი კოსმოსური ხომალდი, რომლებშიც იყო ეკიპაჟები: „სოიუზ-6“ ხომალდის მეთაური გიორგი შონინი, ბორტ-ინჟინერი ვალერი კუბასოვი; „სოიუზ-7“ ხომალდის მეთაური ანატოლი ფილიპჩენკო, ბორტ-ინჟინერი ვლადიმერ ვოლკოვი, ინჟინერ-მკვლევარი ვიქტორ გორბატკო; „სოიუზ-8“ ხომალდის მეთაური ვლადიმერ შატალოვი, ბორტ-ინჟინერი ალექსი ელისეევი.

კოსმოსში ექსპერიმენტის საერთო ხანგრძლივობამ შეადგინა ვიდი დღე-ღამე. ამასთან, თითოეული ხომალდის ფრენის ხანგრძლივობა იყო ხუთი დღე-ღამე.

მეცნიერულ-ტექნიკური კვლევისა და ექსპერიმენტების პროგრამის სრული მოცულობით შესრულების შემდეგ „სოიუზ-6“, „სოიუზ-7“ და „სოიუზ-8“ კოსმოსური ხომალდები შესაბამისად 16, 17 და 18 ოქტომბერს დაეშვნენ საბჭოთა კავშირის გათვალისწინებულ რაიონში. დაჯდომა განხორციელდა დიდი სიზუსტით. ხომალდების ეკიპაჟები მიიყვანეს კოსმოდრომზე ფრენისშემდგომი სამედიცინო გამოკვლევისა და დასვენებისათვის.

ფრენის პროცესში შესრულდა შემდეგი ძირითადი ამოცანები:

— შეამოწმეს და გამოცადეს საბორტო სისტემები და „სოიუზის“ კოსმოსური ხომალდების გაუმჯობესებული კონსტრუქციები;

— დახვეწეს ორბიტაზე ხომალდის ხელის მართვის, ორიენტაციისა და სტაბილიზაციის სისტემები და შეამოწმეს ნაოსნობის ავტომატური საშუალებანი;

— მოაწყეს ხომალდების ურთიერთმანევრირება ორბიტაზე პილოტირებული კოსმოსური სისტემების დახვეწის მთელი რიგი საკითხების გადასაწყვეტად.

— დაამუშავეს ერთდროულად სამი კოსმოსური ხომალდის ჯგუფური ფრენის მართვის სისტემა;

— აწარმოეს დედამიწის გეოლოგიურ-გეოგრაფიულ ობიექტებზე მეცნიერული დაკვირვება და ფოტოგრაფირება. აგრეთვე გამოიკვლიეს დედამიწის ატმოსფერო მიღებული მონაცემების სახალხო მეურნეობაში გამოყენების მეთოდიკის დამუშავების მიზნით;

— კომპლექსურად გამოიკვლიეს დედამიწისირგვლივი კოსმოსური სივრცე სამი ხომალდის მონაწილეობით.

— განახორციელეს მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტები, მათ შორის გამოცადეს შედუღების სხვადასხვა წესი კოსმოსური ვაკუუმისა და უწონადობის პირობებში.

— განახორციელეს სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევა ადამიანის ორგანიზმზე კოსმოსური ფრენის ფაქტორების გავლენის შემდგომი შესწავლის მიზნით და სხვა ექსპერიმენტები.

„სოიუზ-6“, „სოიუზ-7“ და „სოიუზ-8“ საბჭოთა პილოტირებული კოსმოსური ხომალდების ჯგუფურმა ფრენამ ცხადყო საბჭოური კოსმოსური მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი პროგრესი, დამტკიცა ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა, ინჟინერთა და მუშათა აღმშენებლობითი შრომის ახალი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის ათვისების კეთილშობილურ საქმეში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲠᲥᲘᲕᲘ — ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ



ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲒᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ


ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲥᲔᲚᲘ

ᲯᲐᲥᲔᲚᲘ, ᲛᲘᲮᲔᲘᲚ — ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ, ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲥᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ 1887 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲘᲧᲕᲜᲜᲔ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲜᲘᲭᲘᲗ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲕᲚᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲘᲡᲔ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲜᲘᲭᲘᲗᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

გრიგოლ ფერაძე

დაბადების 70 წლისთავის გამო



3არშავის უნივერსიტეტის შესასვლელში ყურადღებას იქცევს მეძორიალური დაფა. მასზე ამოკვეთილია უნივერსიტეტის იმ პროფესორთა გვარები, რომლებიც გერმანელ ფაშისტთა მხეცობას შეეწირნენ. ამ სიაში მეთხუთმეტეა ჩვენი თანამემამულე გრიგოლ ფერაძე.

სამწუხაროდ, მის შესახებ ფართო საზოგადოებრიობამ დღემდე თითქმის არაფერი იცის.

გრიგოლ ფერაძე დაიბადა 1899 წლის 31 აგვისტოს (ძველი სტილით) გორის მაზრის სოფელ საჭაშეთში. გრიგოლის მამა რომანოზი მღვდელი იყო და მასწავლებლობდა კიდეც. მას გორის საოსტატო სემინარია წარჩინებით დაუმთავრებია ვაჟა-ფშაველასთან ერთად.

გრიგოლმა დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, რომლის რექტორი კორნელი კეკელიძე იყო. ნიჭიერი და ბეჯითი სემინარიელი რეპეტიტორობით ირჩენდა თავს, თან ლექსებს, რებუსებს, თქმულებებსა და წერილებს აქვეყნებდა „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“. სემინარიის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობდა ხანდაზმა და მანავში. 1921 წლის დეკემბერში ენებისა და რელიგიის ისტორიის შესწავლით დაინტერესებული ნიჭიერი ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს მთავრობამ გერმანიაში გაგზავნა.

გრიგოლმა ბონის უნივერსიტეტი დაამთავრა. იგი იყო პროფესორ ჰუსენის მოწაფე, სისტემატურად იღრმავებდა ცოდნას იმ დროს ცნობილ მეცნიერებთან და სპეციალისტებთან. მათ შორის უნდა დავასახელოთ პეეტერსი, მარკვარტი, ბაუმშტარკი, დეეტერსი, ბლაიხშტაინერი, მოლიტორი. მასთან ახლო ურთიერთობაში იყვნენ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულენი — ექვთიმე თაყაიშვილი, მიხეილ თარხნიშვილი, მიხეილ წერეთელი, ლოტბარი რაფიელ ინგილო, ზურაბ ავალიშვილი, გიორგი გვაზავა, ნინო ქურციკაშვილი-სალია, კალისტრატე სალია და სხვები. ბონში ხვდებოდა აკადემიკოს ნიკო მარს, შემდეგ კი მასვე ბარათებითაც უკავშირდებოდა. მადლიერ მოწაფეს ხშირი მიმოწერა ჰქონდა ყოფილ მასწავლებელ კორნელი კეკელიძესთან საქართველოში, ბლაიკთან და აკაკი პაპავასთან ამერიკაში, ალენთან და ანდრია გუგუშვილთან ინგლისში და სხვებთან.

გრიგოლ ფერაძემ იცოდა ქართული, რუსული, გერმანული, ფრანგული, ინგლისური და პოლონური ენები, თავისუფლად სარგებლობდა ძველ ბერძნულ, ლათინურ, სომხურ, სირიულ და არაბულ ენებზე ნაწერი წყაროებით. ძველი ებრაულიდან მან თარგმნა „ქებათა ქება“.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გრიგოლი მღვდლად კურთხეულა, შემდეგ კი ბერად შემდგარა. ბონში 1928 წელს ორიენტალისტთა ერთ-ერთ პაექრობაზე თეოლოგიის ცოდნითა და მჭევრმეტყველებით მოუხიბლავს დამსწრენი. ამავე წელს მსოფლიოში სახელგანთქმული პატრიარქების თანდასწრებით, კენტენბერიის არქიეპისკოპოსის მიერ არქიმანდრიტად ხელდებულა. ეს არქიეპისკოპოსი, თურმე, ქართულით ეკლესიის მფარველადაც ითვლებოდა. როგორც მაშინ ევროპაში მცხოვრები ბეჟან გიორგაძე აღნიშნავს, ხსენებული არქიეპისკოპოსის დახმარებით ჩვენს მართლმადიდებლურ ეკლესიას 1935 წელს იერიქონის (პალესტინა) მიდამოებში მკვდარი ზღვის სანაპიროზე სამონასტრო მშენებლობისათვის ერთი ჰექტარი მიწა გამოუყვეს. ამასთან დაკავშირებით პალესტინაში ჩასულა გრიგოლ ფერაძე, მოლაპარაკებია დამასკოს, ანტიოქიისა და პალესტინის პატრიარქებს და ნაკვეთი მიუღია.

არქიმანდრიტად ხელდების შემდეგ გრიგოლმა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა და პატროლოგიის პროფესორის წოდებაც მიიღო.

1929 წელს იგი ბერლინში დაუპატიმრებიათ, განთავისუფლების შემდეგ. ნაცისტების ბატონობას, გერმანიაში აღარ დაედგომებოდა და სცადა ინგლისში გადასვლა, მაგრამ ვიზა ვერ მიიღო. ბოლოს საფრანგეთში გადასახლდა, სადაც კვლევა-ძიებასა და საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა, ზოგჯერ წერავდა და ქადაგებდა იქაურ ქართულ ეკლესიაში. სხვათა შორის, წირვის დროს, გალაკტიონ ტაბიძის ლექსებსაც კი უკითხავდა თურმე მსმენელთ, რაც უდავოდ სასულიერო პირისათვის გაბედულ მოქმედებად უნდა ჩაითვალოს. 1932 წელს ქართულ სასულიერო მწერლობასა და ბიბლიის ძველ თარგმანებზე ლექციების წასაკითხად ოქსფორდში მიიწვიეს. შემდეგ პოლონეთის უნივერსიტეტში პატროლოგიის პროფესორობა შესთავაზეს და კათედრაც ჩააბარეს.

საყურადღებოა გრიგოლ ფერაძის სადოქტორო დისერტაცია. მასში გაშუქებულია მონაზნობის დასაწყისი საქართველოში, სირიელ მამათა მოღვაწეობა, თავისებურად არის გადაწყვეტილი შიო მღვიმელის, აბიბოს ნეკრესელისა და სხვათა ცხოვრების ისტორია. ცნობილ საერთაშორისო ყურნალებში სხვადასხვა ენაზე გამოაქვეყნა შრომები — „ეპისტოლე წმიდისა დიონისიოსი ბრძენმოძღვრისაჲ და ათენელთა ეპისკოპოსისაჲ“, „ბესარიონ გაბაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსი“, „გიორგი ქართველი ერის შემოქმედებაში (ქართული წარმართობის შესახებ)“, „ძველი ქართული ლიტერატურა და მისი პრობლემა“, „ძველი ქრისტიანული ლიტერატურა ქართულ თარგმანებში“, „ბიბლიის ქართული თარგმანის საკითხისათვის“, „ძველი საეკლესიო მწერლობის პრობლემა“, „ბიზანტიამდელი ქართული ლიტერატურის საკითხისათვის“, „ქართველი ბერები და მონასტრები პალესტინაში“ და მრავალი სხვა. გრიგოლ ფერაძეს ჰქონდა საკუთარი ყურნალი — „ჯვარი ვაზისა“. აქ გამოქვეყნებული ლექსებიც მასვე ეკუთვნის. იგი უშვებდა აგრეთვე ყურნალ „პატროლოგიას“ პოლონურ ენაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაშრომი ქართული პალესტინური ხელნაწერების შესახებ. ავტორი მის გამოქვეყნებამდე კორნელი კეკელიძეს სწერდა, რომ გერმანიაში აღმოაჩინა ქართული ხელნაწერი, რომელიც პროფესორ ალექსანდრე ცაგარლის სინას მთაზე ყოფნამდე არის იქიდან წაღებულიო; იგი სინური წარმოშობისაა და შეიცავს ნიკო მარის მიერ გამოცემული პალესტინური ქართული აღაპების მსგავს აღაპებს, მაგრამ უფრო ძველისაო. ჩანსო, — შენიშნავს ფერაძე, — ჯვრის აღაპები სინას მთაზეც აუტანიათო.


გრიგოლ ფერაძე ქართული მეცნიერების უმნიშვნელოვანეს მიღწევებს აცნობდა ევროპელებს და მათ პოპულარიზაციას ეწეოდა. მაგალითად, მან პროფესორ ბაუმშტარკს უთარგმნა კორნელი კეკელიძის მიერ გამოცემული შობის „განჩინების“ ქართული ტექსტი, გერპარდს გააცნო კეკელიძისავე ნაშრომი „უცხოელი ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“ და იგი გერმანულ ენაზე თარგმნა, მანვე თარგმნა ქართულიდან ზოგიერთი პატროლოგიური და სხვა შინაარსის ტექსტებიც. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც.

გრიგოლ ფერაძეს საყურადღებო შემოქმედებითი მემკვიდრეობა დარჩა. მართალია, მის შემოქმედებით თემატიკას ახლაც იკვლევენ — ბელგიაში პროფესორი გარიტი, გერმანიაში — პროფესორი ასფალგი, პოლონეთში — ერთ-ერთი მუზეუმის თანამშრომელი მიხეილ კვალიაშვილი და სხვები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. კარგი იქნება, თუ სხვებიც დაინტერესდებიან გრიგოლ ფერაძის მოღვაწეობით, რომელიც არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა, საეკლესიო პირი იყო და მთელი ცოცხლე ქართული მეცნიერების სამსახურს შეალია. მისი დევიზი იყო ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვება ან სიკვდილი.

და, როგორც დასაწყისში ითქვა, იგი ძალადობის მსხვერპლი გახდა — გესტაპოელებმა დაატუსაღეს იტალიელებთან კავშირისათვის და ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში აწამეს...

პროფესორი

იოსებ მეგრელიძე



საქართველო ხალხურ სიმღერებში

ხალხური სიმღერის მოყვარულებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — გამოიცა პროფესორ პავლე ხუჭუას ფრიად საყურადღებო ანთოლოგია — „საქართველო ხალხურ სიმღერებში“. ნაშრომის მიზანია დაინტერესებულ მსმენელს გააცნოს ქართული ხალხური მრავალსაუკუნოვანი მუსიკალური შემოქმედება, მისი ნაირსახეობა, მდიდარი შინაარსი, ინტონაციური, კილო-ჰარმონიული და მეტრულ-რიტმული თავისებურებანი.

ანთოლოგია წარმოდგენილია სამი დიდი გრამფირფიტის სახით, რომელიც მუსიკალური ფოლკლორის ორმოცდარვა ნიმუშს შეიცავს. მას თან ერთვის პავლე ხუჭუას პატარა განმარტებითი წიგნი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

სიმღერის მოყვარულთ გარკვეულ დახმარებას გაუწევს მოკლე ანოტაცია და განმარტება, რომელიც წინ უძღვის თითოეულ სიმღერას. ამას გარდა, მოცემულია ტექსტის ფონეტიკური გამოხატულება რუსული და ლათინური ასოებით, აგრეთვე ჰწკარედი. რომელიც ძალზე საინტერესოა სპეციალისტებისათვის.

ხალხური შემოქმედების მრავალი სიმღერიდან შერჩეული ნიმუშები ქრონოლოგიური პრინციპით არის დალაგებული. აქ გვხვდება საკულტო-რიტუალური სიმღერები, რომელთა პოეტური და ინტონაციური ელემენტების სათავე შორეულ საუკუნეებში უნდა ვეძებოთ. ამის ბრწყინვალე ნიმუშებია უძველესი სვანური საწესო სიმღერა „ლილე“ (მზის ჰიმნი), ნაყოფიერების ერთ-ერთი უძველესი წარმართული ღვთაებისადმი მიძღვნილი „კვირია“, საეკლესიო საწესო „ალილო“, გალობის ბრწყინვალე ნიმუში „შენ ხარ ვენახი“, გმირულ-პატრიოტული სიმღერები „შუმლი მუხასა“, „თამარის დროშა გაშალეს“, „ხასანბეგურა“, „ალიფაშა“ და სხვა.

ანთოლოგიაში დაცულია სიმღერათა განლაგება ჟანრობრივი პრინციპით. მაგალითად, შრომის სიმღერები — „ურმული“, „გლესავ და გლესავ ნამგალო“, „ოროველა“, „ოდოია“. საწესო-საყოფაცხოვრებო სიმღერები — ფაქიზი და მელოდიური „იავნანა“, მეგრული ლირიკული „დიდა ვოი, ნანა“, საქორწილო „კუჩხა ბედინერა“, სახუმარო „ბუბა ქაქუჩელა“ და „ვისია, ვისია“.

სუფრული სიმღერებიდან წარმოდგენილია ცნობილი ქართლ-კახური „მრავალჟამიერ“, „ჩაკრულო“, „შაშვი კაკაბი“, გურული „ჩვენ მშვიდობა“, იმერული „მგზავრული“, ეპიკური „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „გაფრინდი შავო მერცხალო“ და სხვა. საყურადღებოა აგრეთვე სატრფიალო, სახუმარო, საცეკვაო სიმღერები.

ხალხური საკრავიერი მუსიკიდან ავტორი გვთავაზობს სოლო პიესას „ჩონგურს“, რომლის შესრულებისას გამოყენებულია ხალხური ცეკვების რიტმულ-ინტონაციური მიმოქცევანი, და „კაკლის ტოტს“, შესრულებულს მცირე მოცულობის გარმონზე ანუ „ბუზიკაზე“. აქვე ვხვდებით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სასიმღერო ფოლკლორის ნიმუშებს.


ავტორს არც ძველი ქალაქური ფოლკლორის მაგალითები გამორჩენია. პოპულარული „სულიკო“ და ქუთაისური ქალაქური სიმღერა „სალამური“ ამ ჟანრის საუკეთესო გამოხატულებაა.

სიმღერები ჩაწერილია საქართველოს საუკეთესო ანსამბლების შესრულებით.

ძალზე ხატოვანი და ორიგინალურია ანთოლოგიის მხატვრული გაფორმება, შესრულებული სახალხო მხატვრის, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატის ლადო გუდიაშვილის მიერ. დიდ ხელოვანს ჩვეული ოსტატობით ჩაუქსოვია თავისი მდიდარი გემოვნება გრაფიკულ სურათებსა და შვიდფრად მოხატულ ყდაში.

გაკეთებულია ძალზე საჭირო და კარგი საქმე. მართალია ის, რაც ხალხური მუსიკის მოყვარულებმა მიიღეს, როგორც ავტორი პავლე ხუჭუა ამბობს, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი და სასოებით შენახული მუსიკალური სიმდიდრისა, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას მაინც იძლევა ჩვენს მუსიკალურ კულტურაზე. ეჭვსგარეშეა, ყველა, ვისაც ჩვენი ერის ცხოვრება აინტერესებს, კმაყოფილი დარჩება ამ სიმღერების გაცნობით.

ჯეირან ტუხაშვილი



სურათებზე: ილუსტრაციები წიგნიდან — „საქართველო ხალხურ სიმღერებში“

ლადო გუდიაშვილის ნახატები

„სოლანი“

ერთი წელიწადიც არ არის, რაც შეიქმნა საქართველოს სსრ ადგილობრივი რეწვისა და სუვენირების საწარმოთა გაერთიანება „სოლანი“ (სოლანი სვანურად შინამრეწველთა მფარველ ღვთაებას ნიშნავს). ამ გაერთიანების მიზანია აღადგინოს და განავითაროს ჩვენში უძველესი ხელოსნური წარმოება და თანამედროვე ეროვნულ მოტივზე დაყრდნობით შექმნას ახალი სუვენირები. „სოლანი“ აერთიანებს თბილისის ოთხ საწარმოს — ხალიჩების, საგალანტერიო, სათამაშოებისა და მექანიკური სათამაშოების ფაბრიკებს, რაიონებში კი თელავის. ახმეტის, სიღნაღის, თიანეთის, მცხეთის, დუშეთის, ლენტეხის სამრეწველო კომბინატებს.

ქართველ შინამრეწველთა ნამუშევარი უკვე გაიგზავნა საზღვარგარეთ. იაპონიაში გაეცნობიან დუშელ კერამიკოსთა ნაწელავს. კერამიკისა და ბზისგან დამზადებული სუვენირები გაიგზავნა თეირანის საერთაშორისო გამოფენაზე.

არქიტექტორთა მსოფლიო კონგრესზე

არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის მეათე მსოფლიო კონგრესზე, რომელიც ბუენოს-აირესში მიმდინარეობს, მონაწილეობს ქართველ სპეციალისტთა ჯგუფი. მის შემადგენლობაში არიან საქართველოს სსრ სახმშენის თამჯდომარე ოთარ თუსარელი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი, საქართველოს ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი ალექსანდრე საბაშვილი, „თბილქალაქპროექტის“ № 5 სახელოსნოს მთავარი არქიტექტორი ნოდარ შოშიტაშვილი და რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი შოთა ყავლაშვილი.

ქალაქთმშენებლობისა და საბინაო მშენებლობისადმი მიძღვნილი კონგრესის მუშაობაში მონაწილეობენ მსოფლიოს გამოჩენილი არქიტექტორები.

გამოფენაზე აჩვენებენ ქართველ არქიტექტორთა საუკეთესო ნამუშევრებს.

ო, ენავ ჩემო, ლელო ენავ...

ქართული ენის თვითმასწავლებელი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებამ გვთხოვა შეგვედგინა „ქართული ენის თვითმასწავლებელი“.

სიამოვნებით მოვკიდეთ ხელი ამ პასუხსაგებ საქმეს და ალბათ უახლოეს დროში უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები მიიღებენ ქართული ენის გაკვეთილებს.

გაკვეთილები განკუთვნილია ფრანგულის მცოდნე იმ პირთათვის, ვისაც დამოუკიდებლად სურს შეისწავლოს ქართული ენა, წერა და კითხვა, ლაპარაკი. იგი გამოადგებათ როგორც ბავშვებს (რომლებიც სკოლიდან იცნობენ ფრანგული ენის ელემენტარულ გრამატიკულ კანონებს), ისე მოზრდილებს.

როგორია ამ გაკვეთილების აგებულება და ის პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობენ ავტორები მუშაობის პროცესში?

გაკვეთილები იწყება ქართული ანბანის გაცნობით, ასოების დაწერილობის ნიმუშების ჩვენებითა და ამ ასოების წარმოთქმის თავისებურებათა გათვალისწინებით. ამას მოჰყვება ზეპირი მეტყველების ელემენტარული ჩვევების გამოსამუშავებლად შედგენილი მოკლე დიალოგები, ნაცნობ გრამატიკულ მასალაზე აგებული პრეპარირებული ტექსტები, შემდეგ, სირთულისდა მიხედვით შერჩეული ტექსტები სახელმძღვანელოებიდან და მხატვრული ლიტერატურიდან. სწავლების გაადვილების მიზნით ტექსტები შეიძლება ზოგჯერ გამარტივებული, შეკვეცილი ანუ ადაპტირებული იყოს.

თითოეულ გაკვეთილს დართული ექნება ტექსტობრივი ლექსიკონი (ქართულ-ფრანგული და ფრანგულ-ქართული). ლექსიკონის ქართულ-ფრანგულ ნაწილში სიტყვები იმგვარი თანმიმდევრობით დალაგდება, როგორც ეს გაკვეთილების ტექსტშია და ამ სიტყვათა მნიშვნელობაც კონტექსტით იქნება გაპირობებული. ფრანგულ-ქართულ ნაწილში კი დაცული იქნება ანბანიცა და სალექსიკონო ერთეულად გამოტანის ჩვეულებრივი ტრადიციული წესი (ესე იგი, სახელები სახელობითი ბრუნვის ფორმით იქნება მოცემული, ხოლო ზმნები — ინფინიტივის ფორმით).

ეკონომიის მიზნით სიტყვები ლექსიკონში არ გამეორდება გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამა თუ იმ სიტყვის განსხვავებულ კონტექსტურ მნიშვნელობასთან გვექნება საქმე.

ტექსტები და მათი ლექსიკონები ის ძირითადი მასალაა, რომელიც შექმნის გაკვეთილების ხერხემალს. გრამატიკული მასალა უმთავრესად ამ ტექსტების საანალიზოდ არის მოწოდებული. გრამატიკიდან ყურადღება გამახვილდება იმ კატეგორიებსა თუ მოვლენებზე, რომლებიც სპეციფიკურია ქართულისათვის და რომლებიც განასხვავებენ ამ ენას ყველა დანარჩენი ენისაგან, მათ შორის ფრანგულისაგან.

თვითმასწავლებელში დიდი ადგილი დაეთმობა დავალებებსა და სავარჯიშოებს.

გაკვეთილებს მეტწილად თან დაერთვის „სასაუბროები“, რომელიც თავს მოუყრის დიდძალ ლექსიკურ მასალას და მიაწოდებს მკითხველს ამა თუ იმ თემაზე საუბრისათვის საჭირო ლექსიკურ მინიმუმს.

ბოლო გაკვეთილებში ავტორებს ნავარაუდევი აქვთ საკითხავი მასალის დართვა, რომლის ძირითადი დანიშნულებაა მკითხველს გააცნოს ჩვენი გამოჩენილი კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების შემოქმედების ნიმუშები.

„ქართული ენის თვითმასწავლებელს“ არ შეიძლება ჰქონდეს სრულყოფის პრეტენზია. ეს ბუნებრივიც არის: ამ ტიპის სახელმძღვანელოს შედგენა პირველი ცდაა ჩვენში და ამიტომაც მუშაობის ამ ეტაპზე, შესაძლებელია, ზოგი ნაკლი თავიდან ვერ ავიშოროთ. იმედი გვაქვს, დროთა განმავლობაში, მუშაობის შემდგომი ეტაპისათვის, მასალა შეივსება, დაიხვეწება მკითხველისათვის მისი მიწოდების მეთოდიკა, შეიცვლება ზოგი რამ აღნაგობის მხრივაც და უთუოდ წიგნიც უფრო სრულყოფილი გახდება.

დარწმუნებული ვართ, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები ყურადღებით გაეცნობიან ჩვენს გაკვეთილებს. თხოვნაა, შეგვატყობინოთ თქვენი მოსაზრებანი და შენიშვნები. ავტორები დიდი მადლიერების გრძნობით მიიღებენ მათ, გულდასმით განიხილავენ და გაითვალისწინებენ შემდგომ მუშაობაში.

ნუნუ ჯაფეიშვილი,
როგნედა ლამბაშიძე,
დოცენტები, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები.

„ამირანი“ და მისი საქმეები

ქართული ენის შესწავლას ევროპაში რამდენიმე საუკუნის ისტორია აქვს. თავდაპირველად ევროპელებს საამისოდ ერთადერთი წყარო ჰქონდათ — სტეფანო პაოლინის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, რომლის კურიოზული შეცდომების წყალობით გერმანელმა ფილოსოფოსმა გოტფრიდ ლაიბნიცმა ქართული ენა ბერძნულის მონათესავედ მიიჩნია და ინდოევროპულ ენათა ოჯახს მიაკუთვნა. უკანასკნელ დრომდეც კი ევროპაში ადოლფ დირის „ქართული ენის სახელმძღვანელოსა“ და რიჰარდ მეკელაინის „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ ხარვეზები დიდ სიძნელეებს უქმნიდა ქართული ენის შემსწავლელთ.

ასეთ პირობებში მომწიფდა ქართული ენის მეცნიერული, სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზე შედგენილი, ამასთან, შედარებით ადვილად დასაძლევი სახელმძღვანელოსა და ვრცელი ლექსიკონის გამოცემის საკითხი. ეს უაღრესად კეთილშობილური მისია თავს იდვა ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა, დოქტორმა კიტა ჩხენკელმა. იგი წლობით მუშაობდა ქართული ენის ვრცელ სახელმძღვანელოსა და დიდი ქართულ-გერმანული ლექსიკონის შედგენაზე. სამწუხაროდ, მსოფლიო ომმა მთელი მისი ნაშრომ-ნაღვაწი ფერფლად აქცია, თვითონ კი იძულებული იყო ციურიხისათვის შეეფარებინა თავი.

შვეიცარიის ამ ლამაზ ქალაქში ქართველ მეცნიერს, პირველ რიგში, ლუკმაპურის შოვნაზე უნდა ეფიქრა, მაგრამ თავისი სანუკვარი ოცნების განხორციელებაც — ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენაც არ დავიწუებია, ხელმეორედ შეუდგა მასზე მუშაობას. ციურიხის უნივერსიტეტში მან შეძლო რამდენიმე ახალგაზრდის დაინტერესება ქართული ენით, კითხულობდა ლექციებს სემინარებში. რაკი მცირეოდენი საარსებო სახსარი გაუჩნდა, ხელმეორედ დაწერა „ქართული ენის შესავალი“ ორ ტომად, მაგრამ გამომცემელი არსად ჩანდა. მაშინ დიდი სიძნელეებისა და ხელმოკლეობის მიუხედავად, მეგობრების დახმარებითა და ხელშეწყობით დააარსა გამომცემლობა, რომელსაც ჩვენი ეროვნული გმირის — ამირანის სახელი უწოდა. ეს იყო 1958 წელს. გამომცემლობამ მიზნად დაისახა ქართული კულტურის პოპულარიზაცია ევროპაში.

მალე „ამირანმა“ გამოსცა ზემოხსენებული ფუნდამენტური ნაშრომი ორ ტომად, აქედან პირველი თეორიული ნაწილია, ხოლო მეორე — პრაქტიკული. აქვე გამოიცა კიტა ჩხენკელისა და მისი მოწაფის რუთ ნოიკომის მიერ ქართულიდან გერმანულად შესანიშნავად თარგმნილი „ვისრამიანი“.

„ამირანის“ მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია დიდი „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“, რომელიც ქართულ ნაწილში ძირითადად ეყრდნობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ რვატომიან ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს. „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ შედგენილი იყო ძირითადად კიტა ჩხენკელის მიერ, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი 1963 წელს გარდაიცვალა და ლექსიკონის შემდგომი სრულყოფის, რედაქტირებისა და გამოცემის საქმეს მისი მოწაფე ქართველოლოგი ქალები — იოლანდა მარშევი და ლეა ფლური განაგრძობენ. პირველი ხელმძღვანელობს ლექსიკონის რედაქტირებას, მეორე — გამოცემას. ლექსიკონი ცალკეულ ნაკვეთებად გამოდის. დღემდე გამოცემულია 16 ნაკვეთი (1.402 გვერდი). იბეჭდება მეჩვიდმეტეც (ასო ძანამდე), მთლიანად ლექსიკონის გამოცემა სამ წელიწადში დამთავრდება. ეს იქნება დაახლოებით 2.500-გვერდიანი ნაშრომი, რომლის მსგავსი საქართველოს ფარგლებს გარეთ ჯერ არაფერი გამოცემულა.

შეიძლება ამ ლექსიკონის ავტორებს ზოგ რამეში არ დავეთანხმოთ, იქნებ უკეთესი ყოფილიყო, ლექსიკურ ერთეულად ქართული ზმნის ფორმის შერჩევისას იგივე პრინციპი მიეღოთ, რაც საფუძვლად უდევს აკადემიის ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს, მაგრამ ეს გარემოება სულაც არ აყენებს ჩრდილს იმ უდიდეს მუშაობას, რომელიც გასწიეს ლექსიკონის ავტორებმა, და იმ დიდ ღირსებას, რომელიც უდავოდ აქვს ამ შესანიშნავ ნაშრომს. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ლექსიკონის გამოცემას დიდი ხანია აფინანსებენ შვეიცარიის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და ციურიხის უნივერსიტეტი.


დღეს ციურიხის უნივერსიტეტის დოქტორი იოლანდა მარშევი ქართულს ასწავლის ევროპელი ახალგაზრდების ჯგუფს. საყურადღებოა, რომ ერთმა ვენელმა ქალიშვილმა, მისმა სტუდენტმა, წარმატებით დაიცვა სადიპლომო ნაშრომი ქართულში. რუსთაველის ენა ციურიხის უნივერსიტეტში ფაკულტატიურ საგნად არის შემოღებული.

„ქართული ენის შესავალმა“ და „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ გამოცემულმა ნაკვეთებმა დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპასა და ამერიკაში. მათ აღფრთოვანებული რეცენზიები მიუძღვნეს გამოჩენილმა ქართველოლოგებმა: რენე ლაფონმა, დევიდ ლანგმა, რობერტ სტივენსონმა ჰანს ფოჭტმა, კარლ ფორსტ შმიდტმა, იაროშერ იედლიჩკამ, უერარ გარიტმა, იულიუს ასფალგმა და სხვებმა.

„ამირანს“ ფართო გეგმები აქვს დასახული. უკვე ითარგმნა და მალე აიწყობა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე კიტა ჩხენკელის „ქართული ენის შესავალი“. განზრახულია გამოიცეს ქართულ-ფრანგული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონებიც. ამრიგად, „ამირანი“ წარმატებით ახორციელებს მისი დამაარსებლის დასახულ კეთილშობილურ მისიას.

მიხეილ მამულაშვილი

● წლეულს მაისში გაზეთ „წიგნის სამყაროში“ გამოქვეყნდა მიხეილ მამულაშვილის წერილი ციურიხელ ქართველოლოგთა შესახებ. როგორც ჩანს, გაზეთის ეს ნომერი წაუკითხავთ „ამირანის“ გამომცემლობაში — მისმა ხელმძღვანელმა ლეა ფლურმა წერილის ავტორს გამოუგზავნა ქართულად დაწერილი მადლობის ბარათი, რომლის დედანსაც აქვე ვაქვეყნებთ.







სურათებზე: ძველი თბილისის დილა

სიმონ კილაძის ფოტო

შემოდგომა სოხუმში

საჭდესის ფოტოჭრონიკა

ლიმილის ბიჭები


● ამ პატარა, თეთრყდიან წიგნს სახელად „მამის კერასთან“ ჰქვია. ეს წიგნი იმ ჯაბუკისაა, ცხოვრების ნახმვარი გზაც რომ არ ჰქონდა გავლილი... ვლადიმერ უბილავა ისმ წავიდა ბრძოლის ველზე, როგორც ყველა მისი ტოლი — შემართებული და მოიმედე.

ვლადიმერ უბილავა ომისწინა წლებში მოვიდა ქართულ პოეზიაში და სიცოცხლისა და სიყვარულის ლექსად ამეტყველების დაუოკებელი სურვილი მოიტანა. მაგრამ ომმა გზა გადაუღობა. თუმცა ტყვიას ქარცეცხლშიც ლექსებს წერდა, სამშობლოს, მომავალს, პირველ განცდებსა და სიყვარულს უმღეროდა.

დაუცხრომელი გული სადღაც საძმო საფლავში განელდა. ერთბაშად სიცოცხლე შეწყდა, ღიმილი სახეზე შეაშრა. და ეს მაშინ, როცა ცხოვრება უნდა დაეწყო, ოცნებითა და იმედით აღსავსე ცხოვრება.

ვლადიმერ უბილავას ახლა 50 წელი შეუსრულდებოდა. ლექსებისა და ფრონტული წერილების ეს პატარა კრებული — „მამის კერასთან“ დაბადების დღის საჩუქარი იქნებოდა მისთვის.

გთავაზობთ ორ ლექსს ამ კრებულიდან.



შემოდგომა სოფლად

ღამაზი კუთხე, კარგი დობერა,
მაღალ თხმელებზე მწიფე მაღლარი;
ბზინავს მტევნები დამათრობელად
და სიმინდების დგას ნიაღვარი.
წელს შემოდგომა აქ მსურს ვატარო
და ამინდებიც ჩანს ღირსეული,
მდგმურად მღებულობს ქოხი პატარა,
ისლი რომ ხურავს პაპისეული.
ირგვლივ დამდგარა სიმინდის ყორე,
მარნებში თრობა იწყეს ჭურებმა,
მესმის ნადურის ღუღუნი შორი
და წისქვილების ახმაურება.
გავერთოთ, ბიჭო, მოჰყევ ზღაპარი,
რამე გმირული და ღირსეული...
გვიან გვეძახის ქოხი პატარა,
ისლი რომ ხურავს პაპისეული.
მე შევეთვისე მყუდრო დობერას,
ხეზე გასული მიყვარს მაღლარი,
ზღვიდან ნაცნობი სიო მობერავს
და ნათელ სულში ყვავის ბაღნარი.

1940 წელი

გადაფრენა

გულს უცნაური ღელვა აიტანს,
ნუთუ სიმაღლე მშურდა მყინვარის,
ძირს ვიხედები თვითმფრინავიდან
და იქ ქვეყანა ძევს უწყინარი,
მე იქ მსმენია უტკბესი ნანა
და მიწის მზერით არ მოვიღლები,
ვაშლის ყვავილთა ზვინები დგანან,
თუ ეგ მთებია დათოვლილები!
კავკასიონზე ავვარდით უცებ
და ღრუბელივით მაღლა მივცურავთ,
სხედან ჩვენს ქვემოთ მთანი მოხუცნი
და საუბრობენ დარბაისლურად.
რად შეუშინდეს შორეულ ზეცას —
ეს პროპელერი მიქრის გრიალით,
ქარტეხილივით ლაჟვარდებს ლეწავს,
დგება ცივ ქართა ორომტრიალი.
ცის უდაბნოში ჟრჟოლა ამიტანს,
წინ ქაოსია შებინდებული,
ძირს ვიხედები თვითმფრინავიდან
და იქ ქვეყანა ძევს დიდებული.
იქ რა ყიჟინა გვქონდა ჭალებში,
ღვიოდა სიყრმე და სიყვარული...
მე ქვეყნის ტრფობით დაბლა დავეშვი.
და გულში ვიგრძენ სითბო ფარული.

1940 წელი

ლიმილის ბიჭები

აქამდე შინმოუსვლელებად იხსენიებდნენ, ახლა ხედქცეული ვაჟკაცები დაარქვეს... ამ სახელცვლილებას, რომელიც კარდანახელთა ნება-სურვილით მოხდა, თავისი ახსნა აქვს.

ახლა ყველასათვის ცნობილია, რა მსხვერპლის გაღება დაგვჭირდა გამარჯვების მოსაპოვებლად. მილიონთა შორის, სამშობლოს თავისუფლებას რომ შესწირეს თავი, 403 კარდანახელია. ოთხას სამჯერ შეძრა ჩემი სოფელი ქალების კივილმა, ოთხას სამჯერ დაალბო კარდანახულმა ღვინომ დაღუპულთა მოსაგონებლად დედას პური..:

გავიდა წლები. თითქოს დავიწყებას უნდა მისცემოდა მეოთხედი საუკუნის წინათ მომხდარი. ავბედობა. მაგრამ არა. იარას, რომელიც გულს ამჩნევია, დროც ვერ კურნავს. ახლა რომელ სოფელშიც უნდა მიხვიდე, შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად აღმართულ ძეგლს ნახავ. რა ლხინი უნდა იყოს, თამადამ შინმოუსვლელი ვაჟკაცები არ ადღეგრძელოს. დიახ, ადღეგრძელებენ, ჩვენში მათ შესანდობარს როდი სვამენ. მათ სახელებს არქმევენ ქუჩებს, სკოლებს, წყაროებს...

კარდანახელებმაც ბევრი რამ გააკეთეს სამშობლოსათვის თავდადებულთა სახელის უკვდავსაყოფად, მაგრამ ყველაფერი მცირედ ეჩვენებოდათ.

— ბაღი გავაშენოთ, დიდი ბაღი, ჩვენი ბიჭების სახელი დავარქვათ! — თქვა ვიღაცამ და ყველამ მოიწონა.

ბაღის გაშენების დღედ ცხრა მაისი აირჩიეს. ქუდზე კაცი გამოვიდა. აბა, შინ ვინ გაჩერდებოდა. დედებს თავიანთი ვაჟკაცების სურათებთან ერთად მათი სამკუთხა ბარათებიც მოჰქონდათ. თვითონ რომ ვეღარ კითხულობდნენ, სხვებს აკითხებდნენ და ცრემლად იღვრებოდნენ.

ბაღში 403 ხე დარგეს. თითოეულს თავისი ჭირისუფალი ედგა თავს. დედა, მეუღლე, და, ძმა, შვილი თუ შვილიშვილი — ყველა ერთ გრძნობას შეეპყრო. თითქოს მკვდრეთით აღმდგართ ეგებებიანო, ხეებს გულში იკრავდნენ.

— გაიხარე, იშრიალე, ჩემო ვაჟკაცო, — ჩურჩულებდა დედის ბაგე და მიწა ნიჩბით კი არა, პეშვით მოჰქონდა. წყალსაც სახლიდან წამოღებული დოქიდან უსხამდა.

ასე იქცა 403 კარდანახელი ვაჟკაცი 403 ხედ. ახლა თითოეულს თავისი სახელი აქვს, თითოეულს თავისი დამტირებელი და მომგლელი ჰყავს...

120 წელს მიღწეული ზაქარია მარტაშვილის თქმისა არ იყოს, გმირთა ხვედრი ხომ ხალხის სამსახურია. ეს ვაჟკაცები სიცოცხლეში მკერდით იცავდნენ ჩვენს თავისუფლებას, ახლა კი საამო ჩრდილს უქმნიან ბაღში მყოფთ...

გიორგი ხელაშვილი,
კურორტ ახტალის მთავარი ექიმი,
სოფელი კარდანახი

ვინ იყო იოვანე პრესვიტერი?

დიდი ხანია, რაც ევროპელი მეცნიერების ყურადღებას იპყრობს თქმულება იოვანე მეფე-ხუცესზე ანუ იოვანე პრესვიტერზე. ჯერ კიდევ XII საუკუნიდან ამ თქმულებაზე გვხვდება წერილობითი ცნობები, რომელთა შორის უძველესია გერმანელი მემატიანის ოტონ ფრაიზინგინელის 1141 წლით დათარიღებული ჩანაწერი.

თქმულების შინაარსი ასეთია: შორს, უკიდურეს აღმოსავლეთში, სომხეთისა და სპარსეთის მიღმა, ცხოვრობდა ვინმე იოვანე — ერთდროულად მეფე და ხუცესი, ქრისტიანი, ნესტორიანული აღსარებისა. ერთერთი სისხლისმღვრელი ომის დროს იოვანემ დაამარცხა სპარსეთისა და მიდიის მეფე — ძმები შამიარდოები, აიღო მათი ქვეყნის სატახტო ქალაქი ეკბატანა და გაემართა იერუსალიმისაკენ იქ მყოფთა დასახმარებლად. მაგრამ იერუსალიმს ველარ მიაღწია და უკან დაბრუნდა სამშობლოში. ამის მიუხედავად, მთელი XII საუკუნე ჯვაროსნები ელოდნენ იოვანეს და იმედოვნებდნენ, რომ იგი კვლავ წავიდოდა პალესტინაში და ჯეროვნად დაეხმარებოდა მათ სარკინოზებთან ბრძოლაში. ეს ხმები აღმოსავლეთში მცხოვრები ქრისტიანი ხელმწიფის შესახებ იმთავითვე საფუძვლად დაედო მრავალრიცხოვან ვერსიას ზღაპრულ იოვანე მეფე-ხუცესზე როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა ენებზე.

XIII საუკუნიდან მოყოლებული, დღემდე ბევრმა მკვლევარმა სცადა დაედგინა, ვინ უნდა ყოფილიყო ის პიროვნება, რომლის მოღვაწეობის რეალური ამბავი საფუძვლად დაედო იოვანეზე არსებულ ლეგენდათა უძველეს ვერსიებს. იოვანეს პროტოტიპს ეძებდნენ ინდოეთში, აბისინიაში, ეძებდნენ ცენტრალურ აზიაში და სხვაგან... მაგრამ ამაოდ, წარუმატებლად დამთავრდა იმათი კვლევაც, ვინც ამ პიროვნებას კავკასიაში ეძიებდა. ამის მიზეზი სათანადო მასალებისა და არგუმენტაციის უქონლობა იყო.

აღნიშნული საკითხის გარკვევას მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა ისტორიკოსის, დოცენტ შოთა ბადრიძის გამოკვლევა: „ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე“. შრომაში დასაბუთებულია, რომ იოვანეს ლეგენდის უძველეს ვერსიას საფუძვლად დაედო ის გადმოცემანი, რომლებიც XII საუკუნის ევროპაში ჰარბად გავრცელდა ქართველებზე — დავით აღმაშენებელსა და მის უახლოეს მემკვიდრე-თანამებრძოლებზე.

XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სათავეში იდგნენ ჯერ დავით აღმაშენებელი (1089-1125), ხოლო შემდეგ მისი შვილი დემეტრე პირველი (1125-1156). აქედან გასაგებია, თუ რატომ არის, რომ ლეგენდის უძველესი ვერსიის მიხედვით ზღაპრული მეფე-ხუცესი ცხოვრობს სომხეთისა და სპარსეთის მიღმა, ესე იგი ავტორის აზრით, საქართველოში. როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებელმა განახორციელა რიგი სახელმწიფოებრივი რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ხელისუფლების ცენტრალიზაციას და ქართული ფეოდალური მონარქიული წყობილების განმტკიცებას. ერთერთი ასეთი ღონისძიება იყო საერო და სასულიერო ხელისუფლებათა საკუთარ ხელში გაერთიანების ცდა, რისი ანარეკლიც უნდა იყოს ლეგენდის ჩვენება, რომ ზღაპრული იოვანე არის არა მარტო მეფე, არამედ ხუცესიც, ესე იგი პიროვნება, რომელიც თავის ხელში აერთიანებს საერო და სასულიერო ხელისუფლებას. ამასთანავე ლეგენდის უძველესი ვერსია დაჟინებით მიუთითებს მეფე-ხუცესის ქრისტიანობაზე. ეს კი უნდა მივიჩნიოთ იმ ფაქტის ანარეკლად, რომ დავით აღმაშენებელი მთელ თავის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას მძაფრად გამოხატული ქრისტიანული მესიანიზმის ნიშნით წარმართავდა, რის გამოც ევროპელთა შორის ქრისტიანობისათვის თავდადებულ მებრძოლად იყო ცნობილი.

რაც შეეხება ქრისტიანი მეფე-ხუცესის ბრძოლას სპარსეთისა და მიდიის მეფეებთან, ესეც დეტალების თვალსაზრისით მრავალ ანალოგიას პოულობს დიდგორის ბრძოლის (1121) ისტორიასთან. ბოლოს, ის გარემოებაც, რომ ლეგენდის ქრისტიანი მეფე გაემართება ჯვაროსნული იერუსალიმის დასახმარებლად, ადვილად გასაგებია, თუ გავიხსენებთ, რომ თავის დროზე დავით აღმაშენებელსაც ახლო პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა ჯვაროსნებთან, რომლებიც მას არა მარტო უდიდესი სიმპათიით, არამედ დიდი იმედითაც შესცქეროდნენ.

ანალოგიური ფაქტებით ხასიათდება დემეტრე პირველის მეფობაც, რაც ევროპელთა წარმოდგენაში იმის საშუალებას იძლეოდა, რომ ერთმანეთში არეოდათ დემეტრე და დავით აღმაშენებელი და ისინი ერთ პიროვნებად მიეჩნიათ. გვაქვს მსგავსი სხვა შემთხვევებიც, მაგალითად, როცა ევროპელებმა თავიანთ ფანტაზიაში სარკინოზების წინააღმდეგ მებრძოლი კარლოს მარტელი დაუკავშირეს მისსავე პაპას — კარლოს დიდს და შექმნეს ერთი პიროვნება, რომელიც ეპოსში „სიმღერა როლანდზე“ ორას წელზე მეტი ხნისაა.

აღსანიშნავია, რომ XIII საუკუნის მთელ რიგ ევროპულ წყაროებში იოვანე მეფე-ხუცესის სახელის ნაცვლად ხშირად იხმარება სახელწოდება „მეფე დავითი“ (რეჭს დავით), რაც დავით აღმაშენებლის სახელიდან უნდა გამომდინარეობდეს.

შოთა ბადრიძე დამაჯერებლად გვიხსნის, საიდან უნდა გაჩენილიყო ცნობა ქართველი მეფე-ხუცესის ნესტორიანობის შესახებ, და ფიქრობს, რომ ეს უნდა იყოს ანარეკლი იმ კონფესიონალური ბრალდებებისა, რომელთაც ქართველებს მრავლად უყენებდნენ უცხოეთის, განსაკუთრებით კი ბიზანტიის ეკლესიათა მეთაურები. ასეთი იყო, კერძოდ, ბრალდება იმის შესახებ, თითქოს ქართველები ნესტორიანობის ერესის მიმდევრები არიან, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა, მაგრამ სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ ქართველებიც ნესტორიანელებად ყოფილიყვნენ მიჩნეულები.

შოთა ბადრიძისეული ინტერპრეტაცია, სხვა მოსაზრებებთან შედარებით, რა თქმა უნდა, უფრო დამაჯერებელია, მაგრამ ზოგი რამ ჯერ კიდევ გასარკვევი რჩება. მაგალითად, გამოსაკვლევია საკითხი, საიდან გაჩნდა უძველეს ვერსიებში სახელი „იოვანე“. რაც ჯერ კიდევ მოითხოვს სათანადო ჩაფიქრებასა და განმარტებას. ამის მიუხედავად. შოთა ბადრიძის შრომას სიცხადე და გარკვეულობა შეაქვს როგორც ევროპული კულტურისა და ფოლკლორის, ისე საქართველოს ისტორიის ამ ბნელით მოცული საკითხის გარკვევაში.

პროფესორი
შოთა რევიშვილი

ორი ქვეყნის საზღვარზე

● არ ვიცი რატომ, მაგრამ ეს სოფელი სულ სხვანაირად წარმომედგინა. მეგონა ვაკე, გაშლილი ადგილი დამიხვდებოდა, ის კი, პირიქით, მთის კალთებზე შეფენილი აღმოჩნდა, მწვანეში ჩაფლული, ციტრუსების ტყეებით დაგვირისტებული. და განა მარტო ციტრუსები? რა ხეხილი არ მითბობდა მზერას — ატამი და ნუში, ლეღვი და ხურმა, კაკალი და ვაშლი, მსხალი და ყურძენი...

სარფის გაცნობა ზღვიდან დავიწყე. დიდებულია აქაური პლაჟი. ზღვა მშვიდი იყო და ალერსიანი, განსაკუთრებულად ლურჯი და გამჭვირვალე. აქაურებმა მითხრეს, ამ საოცარ ლურჯ ფერს არც დიდი ღელვისას იცვლისო.

პაწაწინა მდინარე ტიბაშს ავყევი. ეს უკვე სასაზღვრო ზონაა. ტიბაშის მეორე ნაპირი სხვა სახელმწიფოა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ორი ქვეყნის საზღვარზე ვდგავარ..

...ადრიანი დილაა. მაგრამ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე მამია მემიშიშმა უკვე გამასწრო კაბინეტიდან. ახლახან აქ იყო, ალბათ, საქმეზე წავიდაო, მეუბნებიან. საქმეს კი ჩაისა და ციტრუსების ქვეყანაში რა გამოლევს!

პატარა ვაკე ადგილზე ორსართულიანი სკოლის შენობა დგას. აქვეა სასოფლო საბჭო, კომეურნეობის კანტორა, კლუბი, მაღაზია... კოლმეურნეობის თავმჯდომარე მურმან ბაქრაძესთან ერთად კეთილმოწყობილ გზას მივყვები, მის დინჯ საუბარს ვისმენ. თუმცა, ისედაც ნათელია, როგორ ცხოვრობენ დღეს სარფელები. ვერსად ვხედავ ერთსართულიან სახლს, გემოვნებით ნაგები ორი და სამსართულიანი შენობები თვალს იტაცებს. სოფელს აქვს ამბულატორია, ფოსტა, სასაუზმე, კეთილმოსაწყობი სასტუმრო, ხურების კომბინატი, წყალსადენი, გაზი, ელექტრონი, რადიო, ტელეფონი...

მაგრამ ეს დღეს. როგორი იყო წინათ სარფი? როგორ ცხოვრობდნენ ლაზები? ამაზე ძველი ცხოვრების უშუალო მემატიანენი თუ გამცემენ პასუხს და მეც სოფლის კლუბის გამგე ნუგზარ თანდილავასთან ერთად ალი აბულაძის ოჯახს ვეწვიე.

75 წლის თეთრი მოხუცი ღიმილით მისვენებს. მინდა მასპინძელს ვაამო, ლაზურად ვესაუბრო, სიტყვებს ვეებ და ისე ვლაპარაკობ. ალი ჩემზე ნაკლებად როდი ლაპარაკობს ქართულს, ამიტომ ვერ გაუგია, რატომ ვიმტვრევ ენას. თუმცა, როგორც ჩანს, მაინც კმაყოფილია. გიშრის კრიალოსანს მარცვლავს და ამბავს ამბავზე ამ კრიალოსნის მძივებივით აწყობს.

— მახსოვს. ბალღობიდან მოყოლებული, პატარა ფიცრული ქოხი გვედგა. სად იყო საწოლი, სკამი ან მაგიდა — „ხის სუფრის“ ირგვლივ ჯორკოებზე ვსხდებოდით. შუაცეცხლი კერძსაც გვიმზადებდა და ბინასაც გვინათებდა. სპონი ვის მოეძევებოდა! ზღვის წყლის დანალექი გვიწევდა მარილის მაგივრობას. წყალი რა არის, ისიც არ გვქონდა...

ხელისგულისოდენა სიმინდის ყანას თვეობით ვდარაჯობდით დათვს რომ არ გაეჩანაგებინა. ბრინჯს ძირიანად ვიღებდით — ერთი მარცვალიც რომ არ დაგეკარგა... ზღვაზეც ბევრჯერ გვიცდია ბედი, მაგრამ დიდი სიკეთე ვერც იქ გვიპოვია — ვინ იცის, რამდენი უმსხვერპლია ზღვის აბობოქრებულ ტალღებს!

მოკლედ, ძაღლური ცხოვრება გვქონდა.



— ახლა წყალიც შინა გვაქვს და სინათლეც, — ამბობს ალი. — შეშა მანქანას პირდაპირ ეზოში მოაქვს. რაც უნდა პატარა ოჯახი იყოს, ჩვენს სოფელში 5-6 საწოლი ყველას უდგას. შეიარეთ რომელ სახლშიც გნებავთ და ნახეთ, როგორ ცხოვრობენ სარფელები.

...ისევ კოლმეურნეობის თავმჯდომარის მურმან ბაქრაძის კაბინეტში ვხვდები. პირველად რომ მოვედი დილით, მის მაგიდაზე ჟურნალი „სპორტი და ცხოვრება“ შევნიშნე და, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, ახლა უკვე ვიცი, რომ ბატონი მურმანი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა.

— როდესაც სარფი ორად გაიყო, — მიამბობს იგი, — ჩვენს მხარეს 40 კომლი დარჩა, თითქმის იმდენივე, რამდენიც თურქეთში. დღეს საბჭოში უკვე 142 კომლს ვითვლით. თვითონ ნახეთ, სამდურავი ამ ცხოვრებაზე არავის ეთქმის. კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებმა 36 ჰექტარს მიაღწია, 56 ჰექტარზე გაშენებული გვაქვს ციტრუსები, 11 ჰექტარი კი ტუნგოს პლანტაციებს უჭირავს. გვაქვს მეცხოველეობის ფერმაც. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება გარანტირებულია. თითოეულ კაცდღეზე 5 მანეთი და ოთხი აბაზი მოდის. ჩვენი გლეხკაცის საშუალო ხელფასი 80 მანეთია. არიან ისეთებიც, რომლებიც თვეში 160-200 მანეთს იღებენ. საკარმიდამო ნაკვეთიდან მიღებული შემოსავალი კიდევ სხვაა.

სოფელს ჰყავს ორი ტრაქტორი, სამი საბარგო და ერთი მესაწამლი მანქანა, გვაქვს მეურნეობისათვის საჭირო ყველა იარაღი. კოლმეურნეები პლანტაციებში მანქანებით გადაგვყავს. დედები ძალზე კმაყოფილი არიან ჩვენი ბაგა-ბაღით.

სოფელში ლაზები ცხოვრობენ, გულღია და მშრომელი ხალხი. სარფი ძალიან უყვართ მის მკვიდრთ. ქალაქში სამუშაოდ იშვიათად თუ ვინმე წავა. სასწავლებლად კი ბევრი მიდის, მაგრამ მათი უმრავლესობა კვლავ უკან გვიბრუნდება. ამჟამად სოფელში 21, ხოლო მის გარეთ 14 უმაღლესი განათლების მქონე სარფელი სპეციალისტი მოღვაწეობს. ჩვენთან დიდი ხანია აღიკვეთა წერა-კითხვის უცოდინარობა.

...წამოსვლის დროც დადგა. როგორია აქაური ჩვენულება? კენჭი ზღვაში უნდა ვისროლო თუ გადავყლაპო, რომ კვლავ მომიხდეს ამ ლამაზ სოფელში დაბრუნება?

— არც ერთი და არც მეორე, — იცინიან მასპინძლები, — უბრალოდ, მოისურვეთ და მუდამ კეთილ მასპინძლად დაგხვდებით...

ლია მიქაძე,
ჩვენი სპეციალური კორეს-პონდენტი.

სარფი

საჯავახო — ჩიკაგო

სურათებზე: ბარბარე იმნაძე. ქვემოთ — 1915 წელს ძმები რინგლინგების ცირკში (აშშ) მოჩვენებითი ქართველი ცხენოსნები. მარცხნიდან: კიტილა კვიტაიშვილი, ვარდენ კვიტაიშვილი, ბარბარე იმნაძე, კირილე ცინცაძე და ველიკო კვიტაიშვილი.



ვინ იცის, ვინ იყო ის პირველი ქართველი, ვისი გონება და გული ახალი სამყაროს ხილვის დაუოკებელმა სურვილმა შეიპყრო, მუჭით სათაყვანო მიწა აეტაცა და შორეულ გზას გაუბედავად დაადგა.... კარგიც უნახავს და ავიც, სიტკბოცა და სიმწარეც, აუწერელი სიმდიდრეცა და მიუსაფრობაც, მაგრამ მშობელი მიწის ძახილს არ მოუსვენებია, არსად გაუხარებია მისი ქართული ფესვი და უკან გამობრუნებულა, უკანასკნელი ამოსუნთქვა თავისი მიწისა და ზეცისთვის მიუბარებია...

ასე იყო ოდითგან, უსამშობლოდ ვერ ძლებდა ქართველი და ამიტომაც, ნებით თუ უნებლიეთ, ბედის უკუღმართობითა თუ მცდარად გადადგმული ნაბიჯით მიყენებულ ტკივილებს მთელი სიცოცხლე ვერ იშუშებდა.

ჩვენს წინ რვეულის უბრალო, თეთრი ფურცლები დევს, ძნელად გასარჩევი ქართულით. ვკითხულობთ და თვალწინ სამშობლოს მოშორებული კიდევ ერთი ქართველის ცხოვრების ფურცელი გვეშლება..

„ძვირფასო ჩემო, გაუცნობელო შვილებო, ჩემს მერე დაბადებულო, გაზრდილო ჩემს სამშობლოში. მე ქართული წერა კარგად არ ვიცი, კლასში არა ვარ გაზრდილი, მაგრამ არ მინდა ქართული დავივიწყო, თქვენი წყალობით ხშირად ვღებულობ გაზეთებს, მუზიკას და ძალიან გახარებული ვარ. მე დიდი ხანია ამერიკაში ვცხოვრობ...“

1912 წელს ქართველი გოგონა ბარბარე (ბაბო) ზაქარეიშვილი, იმ დროს სახელგანთქმული მოჯირითის ლუკა ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით, ლანჩხუთელ ცხენოსან ჯგუფთან ერთად, ამერიკაში მიემგზავრება საგასტროლოდ. ამავე ჯგუფში იყვნენ ბარბარეს და — მარო და სიძე — ველიკო კვიტაიშვილი. ამერიკულ ცირკში მომხიბვლელი გარეგნობის გულადი ქალიშვილი ათასობით მაყურებელს უჩვენებს ქართული ცხენოსნობის ბრწყინვალე ილეთებს. მალე ბარბარე თავის ბედს ცხენოსანთა ჯგუფის წევრს ქრისტეფორე იმნაძეს უკავშირებს და ამიერიდან მეულლის გვარით იხსენიებენ ყველგან, აღტაცებით, ოვაციებით ხვდებიან მის გამოჩენას სარბიელზე.

გადის წლები... ბევრი ქართველი მოჯირითე ბრუნდება საქართველოში, ხოლო ბარბარე იმნაძე — ოთხი ქალიშვილის დედა ვერ ახერხებს სამშობლოში წამოსვლას.

ამ ზაფხულს, ბარბარე იმნაძე და მისი შვილიშვილი ქრისტეფორე მაზეიკა საქართველოში ჩამოვიდნენ. ახდა დიდი ხნის ოცნება. ბავშვობის სურათები, რომლებიც არასდროს არ აძლევდა მოსვენებას ქართველ ქალს, გაცოცხლდა, ამეტყველდა. ისევ ის ცა, ის მთები, ის ნანატრი, განუმეორებელი სილამაზე ბუნებისა, მაგრამ სულ სხვა ცხოვრება, განახლებული ქართული მიწა...

„მე ძალიან ღარიბი ოჯახიდან ვარ, საჯავახოში ვარ დაბადებული. ამ დროებით კი ყველგან ყველაფერი გაშენებულა, საუცხოოა ყველაფერი“...

ამერიკაში მცხოვრებ ქართველ ქალს ახარებს ასე მდიდარი, ლამაზი სამშობლოს ნახვა. ქრისტეფორე მაზეიკაც, საქართველოზე, ქართველ ხალხზე და ბებიის მსგავსად ცხენოსნობაზეა შეყვარებული.

ძნელი იყო ხელმეორედ მშობელი მიწის დატოვება, მაგრამ იქ, ჩიკაგოში, ელოდებოდნენ შვილები, შვილიშვილები, მეულლის საფლავი...

„დიდი გადლობელი ვარ ყველაზე, მე მეტი იქნება ვეღარ ვნახო საყვარელი სამშობლო. თქვენ იცხოვრეთ კარგა, ბედნიერად და ამით მეც ბედნიერად ვიქნები“...

ასე ამთავრებს თავის წერილს სამოცდაათ წელს მიღწეული ქართველი ქალი, რომელიც თავისდა სანუგეშოდ შვილებსა და შვილიშვილებს გადასცემს მშობელი ქვეყნის იმ უსაზღვრო სიყვარულს, რომლის სიახლოვე, სითბო მთელი ცხოვრების მანძილზე ყველაზე მეტად აკლდა.

ლილი ერაძე

ჩვენი კალენდარი

ნოემბერი

რამდენიმე დღეც და ნოემბერი დადგება. შემოდგომის უკანასკნელი თვის ყოველი დღე მნიშვნელოვან მოვლენას, თარიღსა თუ დღესასწაულს უკავშირდება. ყველაზე დიდ ზეიმს, რა თქმა უნდა, საბჭოთა ადამიანები 7 ნოემბერს გადაიხდიან. ამ დღეს ოქტომბრის რევოლუციის 52 წელი აღინიშნება.

10 ნოემბერს კი, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს, მთელი მსოფლიოს ჰაბუკები და ქალიშვილები, მათ შორის საქართველოს ახალგაზრდებიც, კვლავ მთელი ხმით განაცხადებენ, რომ იბრძოლებენ მშვიდობისათვის, პროგრესისათვის, ბედნიერებისათვის.

100 წლის წინათ, 1869 წლის 13 ნოემბერს დაიბადა ჩვენი თვალსაჩინო თანამემამულე, ბავშვების საყვარელი მწერალი და სახალხო მასწავლებელი თედო რაზიკაშვილი.

ამავე დღეს აღინიშნება ცნობილი ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის ანტონ ფურცელაძის დაბადების 130 წლისთავი. და კიდევ — 13 ნოემბერს ჩვენს სახელოვან თანამემამულეს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს დუდუ ძნელაძეს 80 წელი უსრულდება.

შეგახსენებთ, რომ 14 ნოემბერს დაიბადა ალექსანდრე ცაგარელი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ისტორიკოსი, არქეოლოგი, ენისა და ლიტერატურის მკვლევარი (დაბადების 125 წლისთავი).

ქართველი საბჭოთა მეცნიერი, ქართული ლიტერატურისა და საზოგადო აზროვნების ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი სიმონ ხუნდაძე დაიბადა 1894 წლის 15 ნოემბერს.

17 ნოემბერს, სტუდენტთა საერთაშორისო დღეს, ქართველი სტუდენტებიც დიდი ზეიმით აღნიშნავენ.

ქართული კულტურის უანგარო მუშაკის, გამოჩენილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ თუმანიშვილის დაბადების 135 წლისთავი 18 ნოემბერს სრულდება.

არ დაგავიწყდეთ, 23 ნოემბერს დაბადების 60 წელი მიუსრულდეს ჩვენს სახელოვან პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს.

30 ნოემბერს ქართველი საზოგადოებრიობა აღნიშნავს გამოჩენილი მეცნიერის, ისტორიკოსისა და პედაგოგის პლატონ იოსელიანის დაბადების 160 წლისთავს.

აი რამდენი ღირსშესანიშნავი ზეიმის გადახდას გვპირდება ნოემბერი.

ჩვენი კალენდარი

საქართველოს კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა პეტრე ჭაბუკიანი.

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, აგრეთვე უცხოეთიდან ჩამოსული ადამიანები ეცნობიან ბუნების იმ იშვიათ ძეგლებს, რომელნიც პირველად პეტრე ჭაბუკიანმა აღმოაჩინა. ეს არის სათაფლიას მთაზე განლაგებული ორი ისტორიული ძეგლი — დინოზავრთა ნაკვალევი და კარსტული გამოქვაბულები.

ბუნების ეს დაუცხრომელი მკვლევარი მილიონი წლების მიღმა იხედება და აქ მოსულ ტურისტებსა და ექსკურსანტებს უყვება, რომ სწორედ აქ, სადაც ახლა ისინი დგანან, სულ „რაღაც“ 120 მილიონი წლის წინათ, მეზოზოური ერის ცარცის პერიოდში, ოკეანის ნაპირი იყო და მასზე დინოზავრები ცხოვრობდნენ. ჭა-

ხარისხის მესაიდუმლე

ბუკიანის მიერ აღმოჩენილმა დინოზავრის ნაკვალევმა შესაბამისი კორექტივი შეიტანა გეოლოგიურ და ისტორიულ მეცნიერებაში, სადაც კავკასია ახალ ხმელეთად იყო ცნობილი; თეთრამიწის ნეოლითური კულტურის 5-ათასიანი კოლექცია კი, რომელიც იმავე პეტრე ჭაბუკიანმა შეაგროვა, ახალი ფურცელია ქვის ხანის არქეოლოგიაში.

ძიების დაუოკებელმა სურვილმა აღმოაჩენინა მას ქვის ხანის ადამიანთა კიდევ ორი უძველესი სადგომი წყალტუბოს რაიონის სოფლებში — მელოურასა და ხომულში, დინოზავრთა კიდევ ერთი ახალი, ორ სართულად განლაგებული ნაკვალევი ქუთაისში, რიონის კალაპოტში, და ისევ სათაფლიას მიდამოებში — ბრინჯაოს ხანის ნასოფლარი, რომლის დაზვერვაც უკვე მოეწყო და ახლა არქეოლოგიურ კათხრას მოელის.

მაგრამ მარტო ამ ძეგლების აღმოჩენით არ ამოიწურება მისი მოღვაწეობა. იგი ერის წარსულის ბევრი სხვა ძეგლის მესაიდუმლე და ფხიზელი ეუშაგიც არის. მისი ინიციატივით მოეწყო არქეოლოგიური გათხრები ბაგრატის ტაძრის, გელათის აკადემიის, გეგუთის დარბაზის ნანგრევებზე და მისივე ინიციატივით დაიწყო ამ დიდებული ძეგლების რესტავრაცია.

წარმატება ვუსურვოთ ღვაწლმოსილ მკვლევარს შემოქმედებით საქმიანობაში.

რუსთაველის დღე — პოეზიის დღე



ორ კვირას გაგრძელდა საქართველოში პოეზიის დღესასწაული. ეს იყო ქართული სიტყვის ჭეშმარიტად დიდი ზეიმი. 1966 წელს, როცა აღინიშნა ეროვნული გენიის შოთა რუსთაველის დაბადების რვაასი წლისთავი, დაწესდა ყოველწლიურად აღინიშნოს ეს დღე. და წელს უკვე მესამედ ჩატარდა, ჩატარდა დიდებულად და უფრო ფართო მასშტაბით.

როგორც ყოველთვის, 5 ოქტომბერს, პოეზიის დღე დაიწყო რუსთაველის მშობელ მხარეში მესხეთში, სოფელ რუსთავში. ასპინძის, ადიგენის, ახალციხისა და ახალქალაქის რაიონების ათასობით მცხოვრები შეიკრიბა პოეტის ძეგლთან, რათა ერთხელ კიდევ პატივი ეცათ გენიალური მოაზროვნის, დიდი ჰუმანისტის, ხალხის მომღერლის ხსოვნისადმი. იმ დღეებში ქალაქ გორში გაიხსნა რუსთაველის მემორიალი, საფუძველი ჩაეყარა დიდი მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლს. შემდეგ საქართველოს ყველა კუთხეში გაისმა ქართული ლექსი, გაიმართა ქართველ პოეტთა შეხვედრები რუსთავის, სიღნაღის, ტიბაანის მშრომელებთან.

20 ოქტომბერს ქართველ მწერალთა სასახლეში მოეწყო დიდი დასკვნითი საღამო. მგოსანთა ზეიმს შეუერთდნენ მეცნიერები, კომპოზიტორები, მხატვრები, არქიტექტორები, თეატრისა და კინოს მოღვაწენი, მკითხველები.

დიახ, ორი კვირა გრძელდებოდა საქართველოში რუსთაველის დღე — პოეზიის დღე, როგორც მას მშვენივრად უწოდა ხალხმა. და ყველგან ხალხი გამოხატავდა თავის დიდ სიყვარულს ქართული პოეზიისადმი, რუსთაველის უკვდავი სიტყვისადმი.

იულიან ტუვიმი

— პოლონელი პოეტი

ხალხთა ბაღს გუმდერ

შუქურვარსკვლავით ნაჭედი ღამე
კავკასიონის ქედებზე დნება,
ბაიასავით ანათებს მთვარე,
მოჩანს ზღაპრული ბაღების წყება.
ახლა მე ზეცა არ მხიბლავს, არა,
მის შესაქებად როდი ულერს ჩანგი,
მე ვარშაველი პოეტი ვარ და
ხალხთა ბაღს ვუმღერ ხმატკბილი ჰანგით.
აი, წიგნს ვფურცლავ, ვივსები ლხენით,
რა საოცარი დიდება ვიგრძენ,
შოთა რუსთაველს სალამი ჩემი,
დიდი სიმღერის ჰეშმარიტ სიბრძნეს.
ბწკარებში მზეა და ცისარტყელა,
იწვის იის და ვარდების ფერი,
აღტაცებული ვუგალობ ყველას,
ვინც კი მშობლიურ ენაზე მღერის.
მე მინახიხართ, ძვირფასნო, წინათ,
შორეულ ლოძში, ოცნების თვალით,
თითქოს ნაცნობი ღიმილი ბრწყინავს,
ვარ მეგობრობის ნექტარით მთვრალი.
თუმც საქართველოს ვიცნობდი მანამ
მე ჩიქოვანის ლექსების მადლით,
თბილისელ პოეტს ვადიდებ მარად
და მეგობრობას გულებში ჩაზრდილს.
ძმობა დავლოცეთ ქართული ღვინით
და ვარშავაში შევფიცეთ მტკიცედ,
რაც უნდა იყოს, ჭირი თუ ლხინი,
ჩვენ გული ერთი საჭმისთვის გვიცემს,
დედამიწაზე სულ იყო დილა,
ბედნიერების უშრეტი წყარო,
დროშა ძმობისა ცამდე აწვდილა,
გული ნეტარი სიცოცხლით ხარობს.

თარგმნა შოთა ამირანაშვილმა

შენ ტყვე ხარ ახლა...

ჯიხვს, რომელსაც შევხვდი უცხოეთის ერთ-ერთ ზოოპარკში.

რევაზ მარგიანი

შენ აქ რა გინდა!
თვალს მექუფრება,
თოვაში დაღლილს არ მესვენება, —
როდის დაჰკარგე თავისუფლება,
კავკასიონის ლაღო მშვენებავ?
მე კარგად მახსოვს: იყავ ამაყი,
ფეხმარდი,
სწრაფი,
მხნე და დიდგული.
მხოლოდ რძე იყო შენი ბალახი,
ყინვარის სუსხით გადაფიფქული.
შენ ტყვე ხარ ახლა...
გტანჯავს ტყვეობა
და დამონებას ვით ურიგდები?
გადაივიწყე თერგის ხეობა,
თუ იქით ქრიან შენი ფიქრები?!
თოვს უცხოეთში,
თოვლი ფუსფუსებს,
მოუძებნიათ ბინა ბეღურებს.
თითქოს ვერ ამჩნევ თოვლის ბუსუსებს
და ცას ნაღვლიან თვალით შეჰყურებ.
იქნებ წყურვილი გკლავს მთა-გორების,
თავს გეხვევიან უცხო ბავშვები...
შენ ხომ მზეს რქებით მიაგორებდი
და ღამით მთვარეს ათამაშებდი!
ნუთუ მართლა ხარ ბედის მორჩილი,
ოდესღაც ჩქარი,
დაუდეგარი?!
არ გენატრება ტყე აქოჩრილი,
მუავეწყლიანი ჩვენი კლდეკარი?!
რა იქნა შენი მუხლი მაგარი,
რომ კლდიდან კლდეზე გადაიგრგვინო,
მზის შესახვედრად
ცაზე დამდგარო,
კავკასიონის ოქროს გვირგვინო!
გული რას ამბობს,
გული ბედკრული,
შორს დაგრჩა შენი ძვალშასალაგი.
არ გენატრება შენი ენგური,
არ გენატრება შენი არაგვი?!
შენ რქები მზეში გქონდა დამწვარი,
ცას შესცქეროდი ლოცვა-კურთხევით,
ყელზე გეხვია
ელვის ბაწარი,
ფერხთით თბებოდნენ შენი შურთხები.
გამოიგლოვე თავისუფლება
და ნუთუ მართლა არ გენატრება?
იქნებ მზადა ხარ
შავ-შავ ღრუბლებზე,
კავკასიონზე გადასაფრენად!
შენ დალის მიერ ხარ მონათლული, —
შენს დამონებას როგორ ვუმღერო,
სამშობლოსაგან გადაკარგულო,
ცას მოწყვეტილო
ციცქნა ღრუბელო!
ბევრი კლდე დაგრჩა,
ბევრი ნაპრალი
უშბის კალთაზე გაუხლეჩავი.
ვაი რომ ჩემს წინ დგახარ საპყარი,
გარინდებული, –
სუსტი,
ბეჩავი.
იქნებ ეს თოვა შენს გულს ახარებს, —
თოვაში ხარობს ხშირად ოცნება;
იქნებ მისთვისაც თავი დახარე
მოგონებათა გასაცოცხლებლად.
საქართველოში მივალ ხვალ დილით,
გადავიღალე ამ ორ კვირაში,
ცხრაჯერ მეჩვენა
დედის მანდილი,
ცხრაჯერ მეჩვენა
უშბის მირაჟი.
ობლობას გული ვერ მიეჩვია?
რამ შეგიცვალა მაინც ბუნება!
შენ მონადირის ტყვია გერჩია
ასეთ სიცოცხლეს,
დაუძლურებას.
შენ რომ სხვაგვარი ბედი გწვეოდა,
დაგიტირებდა ჩვენი ჩანჩქერი
და შენს თვალებში ჩაიმსხვრეოდა
ჩვენი კამკამა ზეცის ნაჭერი...
თოვს უცხოეთში...
უფრო თოვდება.
ვნაღვლიანდები ასეთ თოვაში.
უნდა დაგტოვო. შინ მელოდება
ჩემი შხელდა და
ჩემი გორვაში.
შენ ალბათ სიზმარს ნახავ ამ ღამით,
გულჩათხრობილი დაინისლები,
თანდათანობით მწარე ბალღამით
აივსებიან შენი სიზმრები.
ჩემი თვალები მოგაგონდება
ნაპერწკლიანი ფიჭვის კვარივით...
როგორ დამებნა მოულოდნელად
შენთვის გაწვდილი პეშვი მარილი.
ეს რანაირი სევდა შემყარე
და სული ქარებს გააწეწინე, —
თვალებზე ცრემლი რად გაქვთ შემკრთალი
სამშობლოსაგან გადასვეწილებს?!
სიცოცხლე არ ღირს,
თუკი უღელი,
ქედზე არ გადგას შენი კლდეკარის,
თუ შენი ქვეყნის მზეს არ უცქერი,
თავისუფლებას თუ არ შეჰხარი!

სპორტი 1969

ლიდერია ნანა ალექსანდრია

გორის საჭადრაკო მარათონის მონაწილეებმა გზის ნახევარზე მეტი განვლეს. უკვე შეიძლება ლაპარაკი საზონათაშორისო ტურნირის საგზურების პრეტენდენტებზე.

ამ საგზურის უპირველესი პრეტენდენტია ნანა ალექსანდრია. იგი თამაშობს დიდი შემართებით. ამწვავებს ბრძოლას თითქმის სრულიად მშვიდ პოზიციებშიც კი. ხოლო როცა დაფაზე „ცეცხლი ენთება“, ნანა უბადლოა. შესანიშნავი სადებიუტო მომზადება, მახვილი კომბინაციური ხედვა, ჩინებული ტექნიკა, საოცარი ოსტატობა ენდშპილში. ერთი სიტყვით, 20 წლის ნანა მესამედ უმიზნებს სსრ კავშირის ჩემპიონობას.

გვინდა გამოვყოთ მის მიერ მოგებული სამი პარტია: ტექნიკურად მეტისმეტად ძნელი ენდშპილი ძლიერ და გამოცდილ ვალენტინა ზატულოვსკაიასთან, კონტრშეტევა სსრ კავშირის ექს-ჩემპიონ მაია რანიკუსთან, როდესაც ფინალურ პოზიციაში ნანას სამი ზედმეტი ფიგურა დარჩა და ოსტატური გამარჯვება ტურნირის ერთ-ერთ პერსპექტულ მონაწილესთან — ლენინგრადელ ლუბა კრისტოლთან.

ცხრა ტურის შემდეგ ნანა ერთპიროვნული ლიდერია და 8,5 ქულა აქვს. მას ერთი ქულით ჩამორჩება ელენე რუბცოვა.

ჩემპიონობა მეშვიდედ

საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა თავისუფალ ჰიდაობაში, რომელიც ალმა-ათაში გაიმართა, საქართველოს წარგზავნილთა ტრიუმფით აღინიშნა. ქართველმა მოჭიდავეებმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს მოსკოვის, ბელორუსიის, უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის ძლიერი კოლექტივები და მეშვიდედ (!) მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული.

რესპუბლიკის ღირსებას ალმა-ათის საჭიდაო ხალიჩაზე იცავდნენ: ანზორ მენაბდიშვილი, ზაურ შეყრილაძე, გიორგი გიორგაძე, ტარიელ ალიბეგაშვილი, გივი უვარელაშვილი, ნოდარ ხოხაშვილი, ანზორ გაგუა, ზარიბეგ გერიაშვილი, ლევან თედიაშვილი, ანდრო ცხოვრებოვი, შოთა პაპაშვილი, როლანდ მოსეშვილი, შოთა ლომიძე და ნოდარ მოდებაძე.

ფეხბურთის მოედნებზე

● 16 ოქტომბერს კიევში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა თურქეთის გუნდი. ბურთები გაიტანეს მუნტიანმა (2) და ნოდიამ.

საბჭოთა კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: რუდაკოვი (კავაზაშვილი), ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი (ხურცილავა), ლოვჩევი, სერებრიანიკოვი, ასათიანი, მუნტიანი, გერშკოვიჩი, ბიშოვეცი, ნოდია.

● 22 ოქტომბერს მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მექსიკის საგზურის მოსაპოვებლად გაიმართა მეორე, გადამწყვეტი შეხვედრა სსრ კავშირისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის. ამჯერად ჩვენმა ფეხბურთელებმა აშკარად დაჭაბნეს სტუმრები. საინტერესო, უალრესად დაძაბული ბრძოლა დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს გივი ნოდიამ და ანატოლი ბიშოვეცმა.

სსრ კავშირის ნაკრებში სამი თბილისელი მონაწილეობდა — რეზო ძოძუაშვილი, კახი ასათიანი და გივი ნოდია. სამთავემ ჩინებულად ითამაშა.

ახლა ჩვენს ფეხბურთელებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ თამაშებში მონაწილეობისათვის თურქეთთან დარჩენილ ერთ მატჩში ფრეც ყოფნით.

● თბილისის „დინამომ“ თავის მოედანზე გამართა მატჩი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „ობერლიგის“ (რაც ჩვენს პირველ ლიგას უდრის) გუნდ „ვისმუტთან“ (ქალაქი აუე).


ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

● მარცხიანი ფინიში ჰქონდა მეორე ჯგუფის მეოთხე ქვეჯგუფში თბილისის „ლოკომოტივს“. ორი უკანასკნელი მატჩის ფრედ დამთავრების შემდეგ სატურნირო ცხრილში 49 ქულით მესამე ადგილს დასჯერდა.

ფილმი ფეხბურთზე

რეჟისორი რეზო ესაძე იღებს დოკუმენტურ ფილმს „წამმზომი“, რომელიც ეძღვნება სპორტის ერთ-ერთ უველაზე პოპულარულ სახეობას — ფეხბურთს. ფილმის მთავარი გმირი, რა თქმა უნდა, ფეხბურთელია. მას შევხვდებით თავისი უკანასკნელი მატჩის დროს, როდესაც გულშემატკივრების კერპი გრძნობს, რომ დროა დატოვოს მოედანი და ადგილი დაუთმოს ახალ ცვლას, ახალგაზრდობას.

— ვცდილობთ შევქმნათ ფილმ-დოკუმენტი, — ამბობს ესაძე, — რომელშიც არაფერი იქნება თეატრალური, ხელოვნური, ვარჩევთ ისეთ მატჩებს, რომლებიც მდიდარია არა მარტო შინაგანი ეფექტით, არამედ ფსიქოლოგიური მომენტებით, კონფლიქტის დრამატულობით.



0:4

გიგლა ფირცხალავა



ჭართული სამზარეულო

საცივი

გასუფთავებული, გარეცხილი შინაური ფრინველი (ინდაური, ქათამი, ბატი ან იხვი) მოათავსეთ ქვაბში, დაასხით წყალი (10 ჩაის ჭიქა) და დადგით მოსახარშად. ნახევრად მოხარშული წვენიდან ამოიღეთ, მარილი მოაყარეთ, ტაფაზე დადეთ, მოასხით ცოტაოდენი ბულიონი და ღუმელში შედგით შესაწვავად. ხანგამოშვებით შეაბრუნეთ და მოასხით ტაფაზე წარმოქმნილი წვენი.

ბულიონს ცხიმი მოხადეთ და ჩაასხით ქვაბში, დაუმატეთ ძალიან წვრილად დაჭრილი ან ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული 400 გრამი ხახვი და მოხრაკეთ.

300-400 გრამი ნიგოზი, 1-2 კბილი ნიორი, 3-4 ღერი ქინძი, წიწაკა და მარილი (გემოვნებით) კარგად დანაყეთ. მიღებული მასა გახსენით ბულიონში (6-7 ჩაის ჭიქა). დაასხით მოხრაკულ ხახვს და ხარშეთ 15-20 წუთს. შემდეგ დაუმატეთ $^1/_4$ ჩაის კოვზი დაფქვილი მიხაკი (Capyophyllus aromaticus), $^1/_2$ ჩაის კოვზი დანაყილი ქინძის თესლი, 1 ჩაის კოვზი დანაყილი იმერული ზაფრანა (Tagetes patula), $^1/_4$ ჩაის კოვზი დაფქვილი პილპილი, ღვინის ძმარი გემოვნებით და ხარშეთ 5-10 წუთს.

შემწვარი ფრინველი (ცხელი) აჭენით ნაჭრებად, ჭურჭელში ჩააწყვეთ, ზედ ცხელი საცივი დაასხით, შეაგრილეთ და სუფრაზე მიიტანეთ.

კომბოსტოს მხალი

ნუთასი გრამი გარეცხილი ნედლი კომბოსტო წვრილად დაკეპეთ, მარილი მოაყარეთ, ზემოდან სუფთა ტილო დააფარეთ და 30 წუთს გააჩერეთ. შემდეგ ხელით კარგად დასრისეთ და გაწურეთ. ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი, 2 კბილი ნიორი, 2 ძირი ქინძი და მარილი დანაყეთ ერთად. მიღებული მასა ალესეთ ღვინის ძმარში (გემოვნებით), დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი დანაყილი ქინძის თესლი, ნახევარი ჩაის ჭიქა წვრილად დაჭრილი კამა (Anethum graveolens) და კარგად აურიეთ გამზადებულ კომბოსტოში.

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია.

გამოთხოვება შემოდგომასთან

სიმონ კილაძის ფოტო

„ნუ იდარდებ“

ქართველმა რეჟისორმა გიორგი დანელიამ „მოსფილმის“ ექსპერიმენტულ სტუდიაში გადაიღო ფილმი „ნუ იდარდებ“; სცენარი დაწერა რეზო გაბრიაძემ ფრანგი მწერლის კლოდ ტილეს რომანის — „ჩემი ძია ბენჟამენის“ მიხედვით. სცენარისტმა იტალიელი გმირები ქართველებად აქცია, იტალიური სული ქართულ სამყაროში გადმოიტანა.

ფილმი იმდენად ქართული გამოვიდა, რომ ძალზე დახელოვნებული სპეციალისტი თუ იპოვის მასში გასული საუკუნის ფრანგული რომანის კვალს. „ნუ იდარდებ“ ორიგინალური კინონაწარმოებია, რომელიც უანრობრივად უახლოვდება პოპულარულ იტალიურ ტრაგიკომედიებს.

როგორც გიორგი დანელიას ყველა სხვა ფილმი, ეს სურათიც მუსიკალურია. მასში ფართოდ არის გამოყენებული შესანიშნავი ქართული პოლიფონიური სიმღერები.

მთავარ როლს ასრულებს ესტრადის ცნობილი მსახიობი ვახტანგ კიკაბიძე, რომელმაც დიდი წარმატებით გაართვა თავი რეჟისორის ჩანაფიქრს. დანარჩენ როლებში ვიხილავთ სერგო ზაქარიაძეს, ვერიკო ანჯაფარიძეს, სოფიკო ჭიაურელს, იპოლიტე ხვიჩიას, კოტე დაუშვილს, კარლო საკანდელიძეს, ლია გუდაძეს, ბაადურ წულაძესა და სხვებს.

ფილმის ოპერატორია ვადიმ იუსოვი, მხატვარი — დიმიტრი თაყაიშვილი, კომპოზიტორი — გია ყანჩელი.

საკავშირო პრესამ ქართველი რეჟისორის ნამუშევარი საუკუთესოდ შეაფასა.

მოუსმინეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოჰერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოჰერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირადღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოჰერცი.

დაგეძებენ, მოგელიან

დავით ვლადიმერის ძე დარასელიას,

დაბადებულს 1921 წელს ზუგდიდის რაიონში, ახალსოფელში, ეძებს ძმა — სერგო ვლადიმერის ძე დარასელია.

აკაკი ივანეს ძე რუყვას,

დაბადებულს 1918 წელს ქალაქ ჭუთაისში, ეძებს და — მარგარიტა რუყვა, მცხოვრები ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, № 47, V კორპუსი, ბინა 44.

ავქსენტი კონსტანტინეს ძე ანდღულაძეს,

დაბადებულს 1912 წელს მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურში, ეძებენ მეუღლე — რიმა, შვილები — თალიკო, ციალა, ლამარა ანდღულაძეები, მცხოვრებნი თბილისში, ქვემო გომის ჩიხი № 6.

ჩვენ წინათ

რამდენიმე ცნობა ტფილისის სტამბებზე

როგორც ვგონია და ვიცით ამ ჟამათ ტფილისში არის ცხრა სტამბა.

1. კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესი სამმართველოსი,
2. მელიქიშვილისა და კომპანიისა,
3. ენფიანჯიანცისა,
4. დუბილერისა,
5. ჟურნალის „მნათობის“ (ავალიშვილის და ელიოზიშვილისა),
6. კერესელიძისა („ცისკრის“ ჟურნალისა).

სამ პირველ სტამბაში იბეჭდება უმეტესი ნაწილი დროგამოშვებითი გამოცემებისა, წიგნებისა და ბროშურებისა რუსულათ, ქართულათ, სომხურათ, ფრანციზულათ, თათრულათ. მეოთხეში მარტო ბლანკები და განცხადებები იბეჭდება. უკანასკნელ ორ სტამბაში იბეჭდება მარტო ქართული წიგნები და საკუთარი ჟურნალები: „მნათობი“ და „ცისკარი“.

ასოებს ასხამენ უმთავრესად სამმართველოს სტამბაში. უმთავრესს შტაბში და ენფიანჯიანცის სტამბაში.

ამ ოცი წლის წინათ ქალაქში იყო სულ ორი სტამბა და იმათში მხოლოდ ერთი იყო რიგიანი: ეს იყო ნამესტნიკის კანცელარიის სტამბა. ახლა ამ ექვსი სტამბის გარდა არის სამი სამხედრო სტამბები, საკუთარის სამხედრო უწყებისათვის და იქნებ კიდევ იყოს სადმე ერთი ან ორი, მაგრამ იქ განცხადებების მეტს ვერას დაბეჭდენ. ამ გვარათ უნდა ვთქვათ, რომ წიგნის გავრცელების საქმე ჩვენში სრულებით არ არის უკან დარჩენილი და ამდენ სტამბებს შეუძლიათ კარგათ დაკმაყოფილება, ოღონდ კი იყოს წიგნების მეჭდვისათვის ფული.

სხვა და სხვა

ვარშავის მეგობრებმა აღმოაჩინეს, რომ ყვავილების ფერის გამოცვლა ადვილათ შესაძლებელია; ამისათვის იმ ნიადაგში, სადაც ყვავილია დათესილი, უნდა აურიოს კაცმა რომელიმე ფეროვანი ნივთი; მაგალითად დანაყილი ნახშირი რომ მოაყაროთ ძირში ვარდსა და გიოргინს, იმათ უფრო მოშავო მუქი ფერი მიეცემა.

თეატრზე

ნრეშულს კარგი თეატრი აქვთ ტფილისის პუბლიკას. რუსული ტრუპპა შარშანდელზე უკეთ არის შედგენილი; იტალიური ტრუპპა შარშანდელს თუ არა სჯობია, უარესი არ არის. მაგრამ სად არის ქართული თეატრი! ამ ზაფხულს ლაპარაკი იყო, დააპირეს კიდეცა. მაგრამ ბევრი მასალები დააკლდათ, არც პიესებია ახალი, არც რიგიანი აღსრულებაა ძველი პიესებისა; არც ტანისამოსია და მოწყობილობა რიგიანი. ჩვენი მაყურებელი პუბლიკა ხედავს იტალიანურ ოპერებს, რუსულ სპექტაკლებს, თვალი და ყური საკმაოთ გახსნილი აქვს. თუ გინდათ რომ დასაცინარი არ გახდეთ, საჭიროა წარმოდგენის გაუმჯობესება, ახალი რიგიანი პიესების მომზადება, რიგიანი დასწავლა როლებისა, სცენის რიგიანი მოწყობილობა და საზოგადოთ კარგი თაოსნობა. თეატრის მოყვარულებმა ამაებს რომ ბეჯითი ყურადღება მიაქციონ, მაშინ ყველა კარგათ წავა და დასაცინარიც აღარ იქნებარა, პუბლიკა დაგიმადლებთ და პატივს გცემთ.

1869 წლის ოქტომბერი,
„დროება“.

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა № 25.